# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 299

ქ.დუშეთი     წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:     24 აგვისტო 2016 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") — ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ **TRESGE22**, ა/ა **GE24NB033001002001165022** – (შემდგომში - ,,შემსყიდველი")

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ: შპს "დეზინფექციის სამსახური", რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N 27 მ. ს/კ 229278082 , მომსახურე ბანკი - ,, ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი , ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE20 LB 1131385555450000, - შემდგომში - ,,მიმწოდებელი".

## 3.ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV-90900000/90920000, დასუფთავება და სანიტარული მომსახურება , შენობა-ნაგებობების სანიტარული მომსახურებები, ქ. დუშეთის ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ დუშეთის ხევის 11 000 კვ/მ ფართობის დამუშავებაზე ( დეზინსექცია, დერატიზაცია) სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ( თანდართული ინვოისის შესაბამისად).

## 4.ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი მომსახურების ღირებულება შეადგენს: 1 100 ( ერთი ათას ასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2 მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.დუშეთი ჭონქაძის ქუჩის მიმდებარე დუშეთის ხევი.

## 5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

## 6.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

## 7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური.

## 8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარუდგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14.ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2016 წლის 31 ოქტომბერი

18.2 მომსახურების მიწოდების ვადაა: –2016 წლის 16 სექტემბერი

(რიცხვი, თვე, წელი)

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან."

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ჩოხელი

მიმწოდებელი:

შპს,, დუშეთის დეზინფექციის სამსახურის"

უფროსი: /ე.უშიკიშვილი/

იურისტი:

შპს დუშეთის დეზინფექციის სამსახური

მისამართი დუშეთი სტალინის ქ.№ 27

საიდ.კოდი 229278082

ბანკის კოდი 220101403

ა\ა GE20LBO113138555545000

ინვოისი

გადამხდელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

კოდი 229324451

მისამართი დუშეთი სტალინის ქ.

---

---

| № | დასახელება | რაოდენობა | ზომის ერთეუ | ერთ.ფასი | სულ თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1, | ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ დუშეთის ხევის დამუშავება /დეზინსექცია, დერატიზაცია/ | 11000 | კვ.მ | 0,10 | 1100 |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | ჯამი | 11000 | კვ.მ | 0,10 | 1100 |

თანხა სიტყვით ერთიათას ასი ლარი

ინვოისი ძალაშია 30 დღე

შპს დუშეთის დეზინფექციის სამსახურის დირექტორი: /ე.უშიკიშვილი/

ბუღალტერი: /მ.ყალაგაშვილი/

# შპს. დუშეთის დეზინფექციის სამსახური

# LTD DESINFECTION SERVICE OF DUSHETI

1800 ქ. დუშეთი, დავით აღმაშენებლის/ყოფილი სტალინის ქ) №27 ტელ: (0-346) 22-19-34.

№ 18

26 ივლისი 2016 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ: ვ.ჩოხელს

თანახმად თქვენი მომართვა №3200 26.07 2016 წ. გთხოვთ, გაგვიფორმოთ ხელშეკრულება ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ დუშეთის ხევის 11000 კვ.მ ფართობის დამუშავებაზე /დეზინსექცია, დერატიზაცია/. ერთი კვ.მ ფართობის დამუშავების ღირებულება შეადგენს 0.10 თეთრს.

შპს დუშეთის დეზინფექციის სამსახურის

უფროსი: \ე.უშიკიშვილი\

229324451
01. 08 2016 წ
№ 399

საქართველოს
დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემოსავალი № 2650
29 07 2016 წ.

შპს დუშეთის დეზინფექციის სამსახური

მისამართი დუშეთი სტალინის ქ.№ 27

საიდ.კოდი 229278082

ბანკის კოდი 220101403

ა\ა GE20LB0113138555545000

ინვოისი

გადამხდელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

კოდი 229324451

მისამართი დუშეთი სტალინის ქ.

| № | დასახელება | რაოდენობა | ზომის ერთეული | ერთ.ფასი | სულ თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ დუშეთის ხევის დამუშავება /დეზინსექცია, დერატიზაცია/ | 11000 | კვ.მ | 0,10 | 1100 |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | ჯამი | 11000 | კვ.მ | 0,10 | 1100 |

თანხა სიტყვით ერთიათას ასი ლარი

ინვოისი ძალაშია 30 დღე

შპს დუშეთის დეზინფექციის სამსახურის დირექტორი: /ვ.ჟუშიკიშვილი/

ბუღალტერი: /მ.ყალაგაშვილი/

**დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა**
**GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY**

№3200 „26" „07" 2016 წ.

შპს „ დუშეთის დეზინფექციის სამსახურის"
უფროსს ქალბატონ ელისო უშიკიშვილს

ქალბატონო ელისო,

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოვიდა, ქ. დუშეთში ჭონქაძის ქ. №24-ში მცხოვრებ მოქალაქე ცირა ფოთოლაშვილის განცხადება (№3323/ფ 14.07.2016), სადაც იგი ითხოვს ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ დუშეთის ხევის შენამვლა დეზინფექციას.

გთხოვთ აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოთ დახმარება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოადგილე: / თამაზ უნდილაშვილი /

შემსრულებელი:

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

ვ. 18.07.2016წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ვაჟა ჩოხელს

ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის

ამირან ძლიერიშვილის

# მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვაჟა,

მიმდინარე წლის 15 ივლისის თქვენი რეზოლუციით დამეწერა ქ. დუშეთი ჭონქაძის ქ. #24-ში მცხოვრებ მოქალაქე ცირა ფოთოლაშვილის განცხადება (14.07.2016.#3323/ფ), მათი მოთხოვნით საჭიროა ხევის დეზინფექცია. მიგვაჩნია, რომ ეს სამუშაოები უნდა განახორციელოს შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის პროფილაქტიკის და დეზინფექციის სამსახურმა". პირველ ეტაპზე საჭირო იქნება აღნიშნულმა სამსახურმა წარმოადგინოს სათანადო გაანგარიშება და მათ მიერ გასატარებელი ღონისძიების შესახებ. მას შემდგომ რაც ცნობილი გახდება სამუშაოებისათვის საჭირო თანხის ოდენობა მიგვაჩნია, რომ საჭიროა მოხდეს წერილში მოყვანილი საკითხის დაკმაყოფილება.

18.07.2016.

პ. ა. ძლიერიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

გამგებელს ბ-ნ გ. [illegible]

ლაგოდეხი ჭავჭავაძის ქ. №24-ში

მცხოვრები ქალბატონ ლ. [illegible]

განცხადება.

მოგახსენებთ, რომ ვცხოვრობ ლაგოდეხში [illegible]